თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ჩალაძე

გულის ფუნქციური მდგომარეობა ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში. კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკა

14.00.06–კარდიოლოგია

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ირაკლი მეგრელაძე**
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
მამია ზოდელავა
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ზურაბ ფაღავა**
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (14.00.06)
ციალა ჩინჩალაძე
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (14.00.29)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის ----- ------------- ------- სთ-ზე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს
m 14.06 №3 სხდომაზე (თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. №33)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (თბილისი, 0160, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის ------ ----------

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი / მ. კიკნაძე /

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ МЕДИЦИНСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

На правах рукописи

ТАМАРА ЧАЛАДЗЕ

ФУНКЦИОНАЛЬНОЕ СОСТОЯНИЕ СЕРДЦА В ПРОЦЕСЕ ЛЕЧЕНИЯ ГЕМОБЛАСТОЗОВ. ПРОФИЛАКТИКА КАРДИОТОКСИЧНОСТИ

14.00.06 - Кардиология

А В Т О Р Е Ф Е Р А Т

ДИССЕРТАЦИИ НА СОИСКАНИЕ УЧЕНОЙ СТЕПЕНИ
КАНДИДАТА МЕДИЦИНСКИХ НАУК

Тбилиси

2006

РАБОТА ВЫПОЛНЕНА В ГОСУДАРСТВЕННОЙ МЕДИЦИНСКОЙ АКАДЕМИИ ГРУЗИИ

Научные руководители: **Мегреладзе Ираклий**
доктор медицинских наук,
профессор.
Зоделава Мамия
доктор медицинских наук,
профессор.

Официальные оппоненты: **Пагава Зураб**
доктор медицинских наук,
профессор. (14.00.06)
Чинчаладзе Циала
доктор медицинских наук,
профессор. (14.00.29)

Защита диссертации состоится ---- -------- 2006 года в ----ч на заседании диссертационного совета Тбилисского государственного медицинского университета
m 14.06 №3 (Тбилиси, 0177, пр. Важа-Пшавела 33)

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке Тбилисского государственного медицинского университета (Тбилиси, 0160, пр. Важа-Пшавела 29)

Автореферат разослан ----- ------- 2006 г.

Ученый секретарь диссертационного совета,
доктор медицинских наук, профессор / М. Кикнадзе /

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა

ჰემობლასტოზების დიაგნოსტიკა და მკურნალობა თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული. საგძნობლად გაიზარდა ჰემობლასტოზებით დაავადებულთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მრავალწლიანი რემისიის და სრული გაჯანმრთელების შემთხვევები. მიღწეული შედეგები განაპირობა სიმსივნის საწინააღმდეგო ახალი ციტოსტატიკური პრეპარატების შექმნამ და უკვე არსებული პრეპარატების საფუძველზე თანამედროვე პროგრამების შემუშავებამ, რაც ძირითადად მკურნალობის ინტენსიფიკაციას გულისხმობს. ამასთან, კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევებით გამოვლინდა, რომ ინტენსიური ქიმიოთერაპიის გამოყენებას თან ახლავს გართულებები სხვადასხვა ორგანოთა მხრივ. განსაკუთრებით საყურადღებოა ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების მოქმედება გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. პრობლემა აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მიუხედავად წარმატებით ჩატარებული ქიმიოთერაპიისა, ანტრაციკლინური პრეპარატებით გამოწვეული კარდიოტოქსიურობა აუარესებს პაციენტების სიცოცხლის ხარისხს და ზრდის ლეტალობის მაჩვენებელს (Von Hoff D. et al. 1999).

ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების კარდიოტოქსიურობამ მეცნიერებს გაუჩინა სურვილი, შეესწავლათ ამ პრეპარატების არასასურველი ზემოქმედების გამომწვევი მიზეზები, მათი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები და დიაგნოსტიკის მეთოდები. ისეთ გამოკვლევებთან ერთად, როგორიცაა ელექტროკარდიოგრაფია და ექოკარდიოგრაფია, გამოყენებულ იქნა რადიონუკლიდური ვენტრიკულოგრაფია, რომლის საშუალებითაც ფასდება მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის მაჩვენებელი. ენდომიოკარდიული ბიოფსია კი კარდიომიოპათიის ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევა, მაგრამ მისი გამოყენება ინვაზიურობის გამო რამდენადმე შეზღუდულია.

ქიმიოთერაპიითა და სხივური თერაპიით განპირობებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებების დიაგნოსტიკის ყველაზე ხელმისაწვდომ და ინფორმატიულ მეთოდებად კვლავ რჩება ელექტროკარდიოგრაფიული (ეკგ) და ექოკარდიოგრაფიული (ექოკგ) გამოკვლევები. ქიმიოთერაპიის დროს მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის მაჩვენებლის დინამიკაში შეფასება მეტად მნიშვნელოვანია მკურნალობის წარმართვის თვალსაზრისით.

მიოკარდიუმის დაზიანების ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით კარდიოლოგიურ პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება ტროპონინი I–ს და ტროპონინი T-ს განსაზღვრის მეთოდი. უკანასკნელ წლებში მეცნიერები ცდილობენ ამ ბიოქიმიური მარკერების გამოკვლევა ონკოლოგიურ პრაქტიკაშიც დანერგონ ქიმიოთერაპიის კარდიოტოქსიური მოქმედების გამოსავლენად (Sparano J. et al. 2002). აღნიშნული მეთოდი ამჟამად შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების კარდიოტოქსიური მოქმედების დროული დიაგნოსტიკისათვის გამოყენებული კლინიკურ–ლაბორატორიული მეთოდებით ასევე აუცილებელია განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ მოცემული პრეპარატების არასასურველ მოქმედებას. კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ-

ფაქტორების მქონე პაციენტების ადრეული გამოვლენით, მათთვის ოპტიმალური პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების შემუშავებით შესაძლებელია მიღწეულ იქნას მდგომარეობის სტაბილიზაცია გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ და შესაბამისად, ჰემობლასტოზების ძირითადი მკურნალობის სრულფასოვანი ჩატარება.

ამჟამად აქტიურად შეისწავლება ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით ანტიოქსიდანტების გამოყენების შესაძლებლობა. განსაკუთრებით კარგად არის ცნობილი კარდიოქსანის (დექსრაზოქსანი) კარდიოპროტექტორული ეფექტი. ანტიოქსიდანტური მოქმედებით ხასიათდება ვიტამინი E, ასევე კოენზიმი Q10. მათ იყენებენ როგორც კარდიოლოგიურ, ასევე ონკოლოგიურ პრაქტიკაში. კარდიოლოგიური კვლევის მონაცემებით, ეფექტურ კარდიოპროტექტორს წარმოადგენს ტრიმეტაზიდინი (პრედუქტალი), რომელიც წარმატებით გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა პათოლოგიის დროს, მაგრამ არაფერია ცნობილი მისი ონკო-ჰემატოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენების შესახებ. ამ პრეპარატის კარდიოპროტექტორული თვისებები შემდგომ შესწავლას საჭიროებს. ასევე აუცილებელია გაგრძელდეს იმ პრეპარატების ძიება, რომლებიც დაიცავენ მიოკარდიუმს ციტოსტატიკური საშუალებების დამაზიანებელი მოქმედებისაგან და მათი გამოყენებით შემუშავდეს პროფილაქტიკის და მკურნალობის ოპტიმალური ტაქტიკა ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში.

შრომის მიზანი

შრომის მიზანს წარმოადგენდა გულის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში და აღნიშნული მკურნალობით განპირობებული კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკა.

კვლევის ამოცანები

1. გულის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა ჰემობლასტოზების მკურნალობის დაწყებამდე.
2. პოლიქიმიოთერაპიითა და სხივური თერაპიით განპირობებული გულ–სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებების გამოვლენა ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული მეთოდებით, ასევე მიოკარდიუმის დაზიანების ადრეული დიაგნოსტიკა სისხლში ტროპონინი I (Tn I) დონის განსაზღვრით.
3. ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ–ფაქტორების განსაზღვრა.
4. პოლიქიმიოთერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით კარდიოპროტექტორების ტრიმეტაზიდინის (პრედუქტალი), ვიტამინი **E**-ს (ტოკოფეროლი), კოენზიმი **Q10**-ის (უბიქინონი) ეფექტურობის შესწავლა.

მეცნიერული სიახლე

ჰემობლასტოზების მკურნალობის დროს პოლიქიმიოთერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობის დიაგნოსტირების მიზნით ელექტროკარდიოგრაფიულ და ექოკარდიოგრაფიულ გამოკვლევებთან ერთად პირველად იქნა გამოყენებული მიოკარდიუმის დაზიანების ყველაზე ადრეული სპეციფიური მარკერის–ტროპონინი I (Tn I)–ს დონის განსაზღვრის მეთოდი. ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევებით მიღებული შედეგების საფუძველზე განისაზღვრა კარდიოტოქსიურობის განვითარების ძირითადი რისკ-ფაქტორები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და ჩატარებული მკურნალობის მიხედვით. ჰემობლასტოზების მკურნალობის დაწყებამდე კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ-ფაქტორების (50 წელზე უფროსი ასაკი, ანამნეზში კარდიოლოგიური პათოლოგიების არსებობა, ანამნეზში ჩატარებული პოლიქიმიო– და სხივური თერაპია) მქონე პაციენტებისთვის პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების წინასწარი შემუშავებით შესაძლებელი გახდა მდგომარეობის სტაბილიზაცია გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ და შესაბამისად ჰემობლასტოზების ძირითადი მკურნალობის სრულფასოვანი ჩატარება. პოლიქიმიო– და სხივური თერაპიის კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით პაციენტებს ჰემობლასტოზების ძირითადი მკურნალობის პარალელურად ჩაუტარდათ კარდიოპროტექტორული თერაპია პრეპარატებით: ვიტამინი E (ტოკოფეროლი), კოენზიმი Q10 (უბიქინონი) და ტრიმეტაზიდინი (პრედუქტალი). ეს უკანასკნელი, როგორც კარდიოპროტექტორი, პირველად იქნა გამოყენებული ჰემატოლოგიურ პრაქტიკაში.

პრაქტიკული ღირებულება

კლინიკურ პრაქტიკაში ჰემობლასტოზების მკურნალობის მთელი პერიოდის მანძილზე გულის ფუნქციურ მდგომარეობაზე ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული მეთოდებით დინამიკაში დაკვირვებამ შესაძლებელი გახადა პოლიქიმიოთერაპიითა და სხივური თერაპიით გამოწვეული კარდიოტოქსიურობის დროული დიაგნოსტირება. ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში სისხლში ტროპონინი I (Tn I) დონის განსაზღვრით მოხერხდა ქიმიოთერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობის ადრეულ ეტაპზე გამოვლენა. განისაზღვრა ურთიერთკავშირი სისხლში ტროპონინი I (Tn I) შემცველობასა და ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების დოზებს შორის.

ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევებით მიღებული შედეგების საფუძველზე, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და ჩატარებული მკურნალობის გათვალისწინებით დადგინდა კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ–ფაქტორები.

პოლიქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის მოსალოდნელი კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში სხვა კარდიოლოგიურ პრეპარატებთან ერთად კარდიოპროტექტორების (ტრიმეტეზიდინი, ვიტამინი E, კოენზიმი Q10) გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პაციენტების მდგომარეობა გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ, შეამცირა კარდიოტოქსიურობის შემთხვევათა რაოდენობა და შესაძლებელი გახადა ჰემობლასტოზების ძირითადი მკურნალობის სრულფასოვანი ჩატარება.

დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები

1. ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში პოლიქიმიოთერაპიის კარდიოტოქსიური მოქმედების დროული გამოვლენის მიზნით ელექტროკარდიოგრაფიულ და ექოკარდიოგრაფიულ გამოკვლევებთან ერთად მოწოდებული იქნა სისხლში ტროპონინი I დონის განსაზღვრის მეთოდი.
2. ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევების ანალიზით სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, სქესის, ჩატარებული მკურნალობის მიხედვით განისაზღვრა კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ–ფაკტორები.
3. პოლიქიმიოთერაპიითა და სხივური თერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით გამოყენებული იქნა კარდიოპროტექტორები: ტრიმეტაზიდინი (პრედუქტალი), ვიტამინი E (ტოკოფეროლი), კოენზიმი Q10 (უბიქინონი), რამაც შეამცირა გულის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებების სიხშირე ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში.

პრაქტიკაში დანერგვა და პუბლიკაციები

ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში გულის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა და დინამიკაში დაკვირვება, შემუშავებული ოპტიმალური პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებები გამოიყენება სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრის, აკად. გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კლინიკების პრაქტიკულ მუშაობაში. დისერტაციის მასალების მიხედვით გამოქვეყნებულია სამი სამეცნიერო სტატია.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის მასალები მოხსენებული და განხილული იქნა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კარდიოლოგიის, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრების გაერთიანებულ სხდომაზე 22.12.2005. (ოქმი №8)

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია წარმოდგენილია კომპიუტერული წესით ნაბეჭდი ტექსტით 133 გვერდზე და შედგება 7 თავისაგან, დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციებისაგან. დისერტაცია ილუსტრირებულია 71 ცხრილით და 22 გრაფიკით. ბიბლიოგრაფია მოიცავს 172 წყაროს.

მასალა და გამოკვლევის მეთოდები

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ჰემობლასტოზებით დაავადებული 165 ავადმყოფი. მათ შორის 88 (53%) იყო ქალი, 77 (47%)–მამაკაცი. არაჰოჯკინის ლიმფომით დაავადებული იყო 50 პაციენტი, ჰოჯკინის ლიმფომით–40, ქრონიკული ლეიკემიებით–25, მწვავე ლეიკემიებით–20, მრავლობითი მიელომით–15, ჭეშმარიტი პოლიციტემიით–15. პაციენტები მკურნალობდნენ სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრის და აკად. გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კლინიკებში 2000-2005 წლებში.

ელექტროკარდიოგრაფიული (ეკგ) და ექოკარდიოგრაფიული (ექოკგ) გამოკვლევები პაციენტებს უტარდებოდათ სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრის კლინიკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, თერაპიის ინსტიტუტის ულტრაბგერითი კვლევისა და ლაზეროთერაპიის რესპუბლიკურ ცენტრში. სისხლში მიოკარდიუმის დაზიანების მარკერის ტროპონინი I (Tn I) განსაზღვრა ხდებოდა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის კათედრის ბიოქიმიის ლაბორატორიაში.

პაციენტებს პოლიქიმიოთერაპია უტარდებოდათ შემდეგი სქემებით: “BEACOPP”, “ABVD”, “CHOEP”, “LABO”, “COP”, “CHOP”, “EPOCH”, “ProMaCE-CytaBOM”, “ACOP”, “3+7”, “2+5”, “DC-IE”. (დოქსორუბიცინი, ადრიაბლასტინი, რუბომიცინი, მეტოტრექსატი, ციკლოფოსფანი, ეტოპოზიდი, ბლეოცინი, ვინკრისტინი, ლომუსტინი, ციტოზარი, ნატულანი, მელფალანი, 6-მერკაპტოპურინი, მიელოსანი, ჰიდრეა, პრედნიზოლონი, დექსამეტაზონი).

ავთვისებიანი ლიმფომებით დაავადებული 90 ავადმყოფიდან პოლიქიმიოთერაპიასთან ერთად სხივური თარაპია ჯამური დოზით 40-დან 50 გრეიმდე ჩაუტარდა 42 (46,7%)-ს, აქედან დიაფრაგმის ზედა რეგიონის დასხივება–21 (23%)-ს, დიაფრაგმის ქვედა რეგიონის დასხივება ასევე 21 (23%) ავადმყოფს.

გულის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა ხდებოდა ელექტროკარდიოგრაფიული (ეკგ) და ექოკარდიოგრაფიული (ექოკგ) მეთოდებით.

ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა პაციენტებს უტარდებოდათ ჰემობლასტოზების მკურნალობის დაწყებამდე, პოლიქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ყოველი კურსის დასაწყისში და კურსის ბოლოს, მკურნალობის დამთავრების შემდეგ.

მიოკარდიუმის სტრუქტურული და ფუნქციური შესწავლისათვის გამოიყენებოდა ექოკარდიოგრაფიის მეთოდი ერთ და ორ განზომილებიან რეჟიმებში, იმპულსური დოპლეროექოკარდიოგრაფია, რომლებითაც ისაზღვრებოდა გულის სისტოლური და დიასტოლური ფუნქციის მაჩვენებლები. გამოკვლევა პაციენტებს უტარდებოდათ ჰემობლასტოზების მკურნალობის დაწყებამდე, პოლიქიმიოთერაპიის მე-3–მე-4 კურსის, ასევე სხივური თერაპიის ბოლოს და მკურნალობის დამთავრების შემდგომ.

ჰემობლასტოზების მკურნალობით გამოწვეული კარდიოტოქსიურობის გამოვლენის მიზნით სისხლის შრატში შეისწავლებოდა ტროპონინი I (Tn I)

შემცველობა. დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ჰემობლასტოზებით დაავადებული 40 ავადმყოფი. მათ შორის არაჰოჯკინის ლიმფომით დაავადებული იყო 12 პაციენტი, ჰოჯკინის ლიმფომით–10, ქრონიკული ლეიკემიებით–8, მწვავე ლეიკემიებით–10. პაციენტების ასაკი მერყეობდა 20-დან 65 წლამდე. ქალი იყო 22 (55%), მამაკაცი––18 (45%). გამოკვლევაში არ შევიდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჰემობლასტოზების მკურნალობის დაწყებამდე აღენიშნათ ცვლილებები გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ, ტროპონინი I (Tn I)-ს მაჩვენებელის მომატება, თირკმლისა და ღვიძლის ფუნქციის დარღვევა, ექოსკოპიით–მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის მაჩვენებელი (EF)<50%-ზე. სისხლში ტროპონინი I (Tn I)-ს დონის განსაზღვრა ხდებოდა ქიმიოთერაპიის კურსის ბოლოს და შემდეგი კურსის წინ. მისი მაჩვენებელი ითვლებოდა ნორმად 0-0,08 ნგ/მლ–მდე.

ავთვისებიანი ლიმფომების მკურნალობის პროცესში გულის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლისას ავადმყოფები (90 ავ-ფი) დაიყო ორ ჯგუფად: I ჯგუფი შეადგინეს იმ პაციენტებმა, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ პოლიქიმიოთერაპიითა და დიაფრაგმის ზედა რეგიონის დასხივებით (21 ავ-ფი). II ჯგუფი კი მხოლოდ პოლიქიმიოთერაპიით ნამკურნალებმა პაციენტებმა (69 ავ-ფი). ის ავადმყოფები, ვისაც ჩაუტარდა დიაფრაგმის ქვედა რეგიონის დასხივება, ასევე მიეკუთვნენ მეორე ჯგუფს.

პოლიქიმიოთერაპიით განპირიბებული გულის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებების და მათი განვითარების რისკ–ფაქტორების შესასწავლად შეირჩა ავთვისებიანი ლიმფომებით, ქრონიკული ლეიკემიებით, მრავლობითი მიელომით დაავადებული 73 პაციენტი. გამოკვლევაში არ შევიდნენ ის ავადმყოფები, რომელთაც მკურნალობის დაწყებამდე აღენიშნებოდათ გულ–სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და ასევე ავთვისებიანი ლიმფომებით დაავადებული ის პაციენტები, რომელთაც სხივური თერაპია ჩაუტარდათ დიაფრაგმის ზედა რეგიონზე, რათა გამორიცხული ყოფილიყო სხივური თერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობა.

ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული მეთოდებით შესწავლილი იქნა გულის ფუნქციური მდგომარეობა ოთხი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით (30 წლამდე, 30-40 წლის, 40-50 წლის და 50 წელზე მეტი).

ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზების მიხედვით პაციენტები დაიყო ოთხ ჯგუფად: I ჯგუფში ჯამურმა დოზამ შეადგინა ≤200მგ/მ^2, II ჯგუფში->200≤300მგ/მ^2, III ჯგუფში >300≤400მგ/მ^2, IV ჯგუფში->400მგ/მ^2.

ასევე შესწავლილი იქნა სხვადასხვა სქესის პაციენტებში კარდიოტოქსიურობის შემთხვევების სიხშირე და მკურნალობამდე არსებული კარდიოლოგიური დაავადებების გავლენა პაციენტების მდგომარეობაზე ქიმიოთერაპიის მთელი პერიოდის მანძილზე. მიღებული შედეგების ანალიზით განისაზღვრა კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ-ფაქტორები.

დაკვირვების ქვეშ მყოფ 69 ავადმყოფს ჰემობლასტოზების ძირითად მკურნალობასთან ერთად ჩაუტარდა კარდიოპროტექტორული თერაპია პრეპარატებით: ტრიმეტაზიდინი (პრედუქტალი), ვიტამინი E (ტოკოფეროლი), კოენზიმი Q10 (უბიქინონი). მათ შორის არაჰოჯკინის ლიმფომით დაავადებული იყო 25 (50%) ავადმყოფი, ჰოჯკინის ლიმფომით–17 (43%), ქრონიკული ლეიკემიებით–12 (48%), მრავლობითი მიელომით–7 (47%), ჭეშმარიტი პოლიციტემიით-8 (53%). პრეპარატ ტრიმეტაზიდინის დღიური დოზა შეადგენდა 60-70 მგ-ს, ვიტამინი E–200მგ, კოენზიმი Q10-50მგ. ჩატარებული კარდიოპროტექტორული თერაპიის ხანგრძლივობა მერყეობდა 6 თვიდან 1 წლამდე.

მონაცემების ყველა მნიშვნელობა წარმოდგენილი იქნა საშუალო სიდიდის და მისი ცდომილების სახით (M+m). განსხვავებათა სარწმუნოობა ისაზღვრებოდა სტიუდენტის t კრიტერიუმის საშუალებით.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

ჩვენ შევისწავლეთ გულის ფუნქციურ მდგომარეობაზე ჰემობლასტოზების გავლენა 140 პირველად პაციენტში. მიოკარდიუმის სტრუქტურული და ფუნქციური შესწავლისათვის გამოყენებული იქნა ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული მეთოდები. გამოკვლევები ტარდებოდა ჰემობლასტოზების ძირითადი მკურნალობის დაწყებამდე.

გამოკვლეული 140 პაციენტიდან 47 (34%)-ს ჰემობლასტოზების მკურნალობის დაწყებამდე აღენიშნა გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა პათოლოგია. იმის გასარკვევად, უკავშირდებოდა თუ არა კარდიოლოგიური პათოლოგიების განვითარება ჰემობლასტოზების არსებობას, შესწავლილი იქნა გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ არსებული ცვლილებები ჰემობლასტოზების სხვადასხვა ფორმების დროს.

კლინიკურ–ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებით, ასევე პაციენტების გამოკითხვით დადგინდა, რომ 26 (55%) შემთხვევაში კარდიალური პათოლოგიები ავადმყოფებს აღენიშნებოდათ წლების მანძილზე, 21 (45%) შემთხვევაში კი ჩივილები გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ გაჩნდა ჰემობლასტოზების დიაგნოსტირებამდე მცირე ხნით ადრე. ექსუდაციური პერიკარდიტის ორივე შემთხვევა, რაც გამოუვლინდათ ავთვისებიანი ლიმფომებით დაავადებულ პაციენტებს, დაკავშირებული იყო სიმსივნური პროცესით შუასაყარის დაზიანებასთან. ჰიპერპლაზირებული ლიმფური კვანძებით აორტის კომპრესია სამ შემთხვევაში გამოვლინდა არტერიული წნევის მომატებით ჰიპერტონული დაავადებისათვის დამახასიათებელი ეკგ და ექოკგ ცვლილებების არარსებობის ფონზე. მწვავე და ქრონიკული ლეიკემიებით დაავადებული პაციენტებიდან ექვს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არტერიული წნევის დაქვეითებას, რაც სავარაუდოდ დაკავშირებული იყო ლეიკემიებისათვის დამახასიათებელი სიმსივნური ინტოქსიკაციის გამოვლინებასთან. მრავლობითი მიელომით დაავადებულ ორ პაციენტს გამოუვლინდა არტერიული ჰიპერტენზია. ლაბორატორიული შესწავლით ყურადღებას იქცევდა ჰიპერკოაგულაციის არსებობა, რაც იყო მიზეზი არტერიული წნევის მომატებისა ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე. ერითრემიით დაავადებულ პაციენტებს შორის ყველაზე ხშირი იყო გულ–სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა პათოლოგიის გამოვლინება (არტერიული ჰიპერტენზია, სტენოკარდია, გ.უ. II–III ფ.კ.(NYHA), პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი). ლაბორატორიული შესწავლით ყურადღებას იქცევდა ჰიპერკოაგულაციისა და პლეთორული სინდრომის არსებობა წლების მანძილზე. ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში კარდიალური პათოლოგიები ძნელად ან საერთოდ არ ექვემდებარებოდა სპეციფიურ მკურნალობას (ანტიჰიპერტენზიული, ანტიარითმული პრეპარატები, ნიტრატები, საგულე გლიკოზიდები, დიურეტიკები). მოცემულ შემთხვევებში კარდიოლოგიურ და ჰემატოლოგიურ პათოლოგიებს შორის ურთიერთკავშირი დადასტურდა შემდგომშიც, როდესაც ჰემობლასტოზების წარმატებით მკურნალობას უკვე ადრეულ ეტაპზე მოყვა გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესება.

ჰემობლასტოზებით დაავადებულ პაციენტებში გულ–სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების შესწავლით გამოვლინდა სიმსივნური პროცესებისათვის დამახასიათებელი ის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ კარდიალური პათოლოგიების განვითარება. ესენია:

- ჰიპერპლაზირებული ლიმფური კვანძების მდებარეობა შუასაყარში;
- ჰიპერპლაზირებული ლიმფური კვანძებით მსხვილი სისხლძარღვების (აორტა, ფილტვის არტერია, ზემო ღრუ ვენა) კომპრესია (მედიასტინო–კარდიალური სინდრომი);
- სიმსივნური ინტოქსიკაცია;
- ანემია (ანემიური სინდრომი);
- ჰიპერკოაგულაცია;
- ერითროციტოზი და თრომბოციტოზი (პლეთორული სინდრომი).

ანტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკების კარდიოტოქსიურობა აღიარებული ფაქტია. ცნობილია ისიც, რომ სხივური თერაპია ასევე უარყოფითად მოქმედებს მიოკარდიუმზე. ჩვენ შევეცადეთ იმის გარკვევას, თუ რამდენად ზრდის მიოკარდიუმის დაზიანების რისკს ქიმიოთერაპიასთან კომპლექსში ჩატარებული სხივური თერაპია.

ჩვენს კვლევაში ავთვისებიანი ლიმფომების მკურნალობის (პოლიქიმიოთერაპია, სხივური თერაპია) გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოქმედების შესასწავლად დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 72 პაციენტი, რომელებიც ჩატარებული მკურნალობის მიხედვით დაიყო ორ ჯგუფად: I **ჯგუფი** შეადგინეს იმ პაციენტებმა, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ პოლიქიმიოთერაპიითა და შუასაყარის შემდგომი დასხივებით. ასეთი იყო 18 (25%) ავადმყოფი. II **ჯგუფი** კი მხოლოდ პოლიქიმიოთერაპიით ნამკურნალებმა 54 (75%) პაციენტმა. ისინი კი, ვისაც ჩაუტარდათ დიაფრაგმის ქვედა რეგიონის დასხივება, ასევე მიეკუთვნენ მეორე ჯგუფს. ავადმყოფების დაყოფა აღნიშნული წესით გამოყენებული იქნა სხივური თერაპიის კარდიოტოქსიური მოქმედების გამოსავლენად. გამოკვლევაში არ შევიდნენ ის ავადმყოფები, რომელთაც მკურნალობის დაწყებამდე აღენიშნებოდათ ცვლილებები გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ.

მკურნალობის პირველ წელს ელექტროკარდიოგრაფიული(ეკგ) გამოკვლევით მიღებული შედეგების რაოდენობრივი ანალიზით აღინიშნა შემდეგი: I ჯგუფის 18–დან 10 (56%) პაციენტს განუვითარდა ეკგ ცვლილებები, II ჯგუფის 54 პაციენტიდან–21-ს (38%) ($P<0,001$).

ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევით I და II ჯგუფის პაციენტებს აღენიშნათ შემდეგი ეკგ ცვლილებები: სინუსური ტაქიკარდია, სინუსური ბრადიკარდია, წინაგულოვანი და პარკუჭოვანი ექსტრასისტოლები, მოციმციმე არითმია, პაროქსიზმული ტაქიკარდია, გამტარებლობის დარღვევა, S-T სეგმენტის და T კბილის არასპეციფიური ცვლილებები, QRS კომპლექსის ვოლტაჟის დაქვეითება. (ცხრილი №1)

ეკგ ცვლილებები	I ჯგუფი n=18	%	II ჯგუფი n=54	%
სინუსური ტაქიკარდია	7	38%	18	33%
სინუსური ბრადიკარდია	1	6%	3	6%
ექსტრასისტოლები: –წინაგულოვანი –პარკუჭოვანი	2 6	11% 33%	3 6	6% 11%
მოციმციმე არითმია	2	11%	–	–
პაროქსიზმული ტაქიკარდია	3	17%	2	4%

გამტარებლობის დარღვევა	1	6%	1	2%
S-T , T არასპეციფიური ცვლილებები	3	17%	3	6%
QRS ვოლტაჟის დაქვეითება	2	11%	3	6%

ცხრილი №1 მკურნალობის პირველ წელს გამოვლენილი ეკგ ცვლილებები ჩატარებული მკურნალობის მიხედვით

მკურნალობის პირველ წელს ექოსკოპიური (ექოკგ) გამოკვლევით მიღებული იქნა შემდეგი: I ჯგუფის 18_დან 11 (61%) პაციენტს განუვითარდა ექოკგ ცვლილებები, II ჯგუფის 54 პაციენტიდან–24-ს (44%) (P<0,001).

I და II გჯუფებში განდევნის ფრაქციის ცვლილებების ანალიზით მიღებული იქნა შემდეგი: I ჯგუფის პაციენტების 56% აღენიშნა EF% შემცირება, 39%-ს EF% დარჩა უცვლელი, ხოლო 6%–ში გამოვლინდა EF% კომპენსატორული მომატება. II ჯგუფის პაციენტების 35% აღენიშნა EF% შემცირება, 56%-ს EF% დარჩა უცვლელი, ხოლო 9%–ში გამოვლინდა EF% კომპენსატორული მომატება. (ნახაზი №1)



ნახაზი №1 განდევნის ფრაქციის ცვლილებების პროცენტული მონაცემები I (A) და II (B) ჯგუფის პაციენტებში ჩატარებული მკურნალობის მიხედვით. (P<0,001 P<0,01 P>0,05)

საერთოდ, დაკვირვების ქვეშ მყოფი პაციენტებიდან კარდიალური მიზეზით გარდაიცვალა 3(4%) ავადმყოფი, სიმსივნური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობით კი–6 (8%). ლეტალობა მკურნალობის პირველ წელს გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით აღინიშნა მხოლოდ I ჯგუფში (პოლიქიმიოთერაპია+სხივური თერაპია).

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ ასევე შევისწავლეთ პოლიქიმიოთერაპიით განპირობებული გულის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებები და მათი განვითარების რისკ–ფაქტორები ჰემობლასტოზებით დაავადებულ 72 პაციენტში. გამოკვლევაში არ შევიდნენ ის ავადმყოფები, რომელთაც მკურნალობის დაწყებამდე აღენიშნებოდათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებები და ასევე ავთვისებიანი ლიმფომებით დაავადებული ის პაციენტები, რომელთაც სხივური თერაპია ჩაუტარდათ დიაფრაგმის ზედა რეგიონზე, რათა გამორიცხული ყოფილიყო სხივური თერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობა.

მიღებული ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზების მიხედვით ავადმყოფები დაიყო ოთხ ჯგუფად. 17 პაციენტისთვის ჯამურმა დოზამ შეადგინა ≤200 მგ/მ^2 (I ჯგუფი), 19 პაციენტისთვის–>200≤300 მგ/მ^2 (II ჯგუფი), 19 პაციენტისთვის–>300≤400 მგ/მ^2 (III ჯგუფი) და 17 შემთხვევაში–>400 მგ/მ^2 (IV ჯგუფი).

პირველ წელს ელექტროკარდიოგრაფიული (ეკგ) გამოკვლევით მიღებული შედეგების რაოდენობრივი ანალიზით აღინიშნა შემდეგი: I ჯგუფის 17–დან 4 (24%) პაციენტს განუვითარდა ეკგ ცვლილებები, II ჯგუფის 19 პაციენტიდან–8-ს (42%), III ჯგუფში 19-დან–16 (84%)-ს, IV ჯგუფში კი ყველა პაციენტს აღენიშნა ცვლილებები ეკგ–ზე (17-დან 17(100%)-ს). ($P<0,05$)

ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევით პაციენტებს აღენიშნათ შემდეგი ეკგ ცვლილებები: სინუსური ტაქიკარდია, სინუსური ბრადიკარდია, წინაგულოვანი და პარკუჭოვანი ექსტრასისტოლები, მოციმციმე არითმია, პაროქსიზმული ტაქიკარდია, გამტარებლობის დარღვევა, S-T სეგმენტის და T კბილის არასპეციფიური ცვლილებები, QRS კომპლექსის ვოლტაჟის დაქვეითება.
(ცხრილი №2)

ეკგ ცვლილებები	I ჯგუფი ≤200 მგ/მ^2	II ჯგუფი >200≤300 მგ/მ^2	III ჯგუფი >300≤400 მგ/მ^2	IV ჯგუფი ∃400 მგ/მ^2
სინუსური ტაქიკარდია	2	6	8	10
სინუსური ბრადიკარდია	–	1	6	4
ექსტრასისტოლები: წინაგულოვანი პარკუჭოვანი	 1 1	 3 5	 3 7	 2 9
მოციმციმე არითმია	–	–	1	2
პაროქსიზმული ტაქიკარდია	–	1	4	3
გამტარებლობის დარღვევა	–	–	2	2
S-T , T არასპეციფიური ცვლილებები	–	–	4	6
QRS ვოლტაჟის დაქვეითება	–	–	2	2

ცხრილი №2 მკურნალობის პირველ წელს მიღებული ეკგ ცვლილებები ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზების მიხედვით

ჩვენს გამოკვლევაში კარდიოტოქსიურობის სარწმუნო მაჩვენებლად მიჩნეულ იქნა მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის (EF%) დაქვეითება. გულის ექოსკოპიური შესწავლისას 72 პაციენტიდან 36 (50%)–ს აღენიშნა განდევნის ფრაქციის (EF%) 2-15%–ით შემცირება საწყისი მაჩვენებლიდან ქიმიოთერაპიის პირველ წელს და მკურნალობის შემდეგ. ასევე 36 (50%) განდევნის ფრაქციის (EF%) შემცირება არ აღენიშნა. მკურნალობის პირველ წელს ექოსკოპიური (ექოკგ) გამოკვლევით მიღებული იქნა შემდეგი: I ჯგუფის 17–დან 1 (6%) პაციენტს განუვითარდა ექოკგ ცვლილებები, II ჯგუფის 19 პაციენტიდან–6-ს (32%), III ჯგუფში 19-დან–12 (63%)-ს, IV ჯგუფში კი ყველა პაციენტს აღენიშნა ცვლილებები ექოკგ–ზე (17-დან 17(100%)-ს).

ექოკგ ცვლილებების სიხშირემ სარწმუნოდ მოიმატა ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამურ დოზებთან ერთად($P<0,05$). (ნახაზი №2)



ნახაზი №2 განდევნის ფრაქციის ცვლილებების პროცენტული მონაცემები ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზების მიხედვით

საერთოდ ჯამში, ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში კლინიკურ–ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მეთოდებით გამოვლინდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა ცვლილებები. I ჯგუფის 17–დან 4 (24%) პაციენტს, II ჯგუფის 19 პაციენტიდან 8-ს (42%), III ჯგუფში 19-დან 16 (84%)-ს, IV ჯგუფში კი ყველა პაციენტს აღენიშნა ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ (17-დან 17(100%)-ს). კარდიოტოქსიურობის შემთხვევები აღინიშნა როგორც >200მგ/მ^2-ზე, ასევე ≤200მგ/მ^2 დოზაზე, მაგრამ თუ ≤200მგ/მ^2 ჯამურ დოზაზე ეს იყო პაციენტების 24%, დოზის ზრდასთან ერთად კარდიოტოქსიურობის შემთხვევათა სიხშირეც სარწმუნოდ გაიზარდა და >200 მგ/მ^2-ზე შეადგინა 75%. (ნახაზი №3)



ნახაზი №3 მკურნალობის 1 წელს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ განვითარებული ცვლილებების პროცენტული მონაცემები ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზების მიხედვით ($P<0,05$).

მკურნალობის I წელს გამოვლენილი გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებების ანალიზით ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მიღებული იქნა შემდეგი: 30 წლამდე ასაკის 14 პაციენტიდან ზემოთ აღნიშნული ცვლილებები დაფიქსირდა 7 (50%) შემთხვევაში, 30-40 წლის ასაკობრივ ჯგუფში–13-დან 7 (53%)-ში, 40-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში–16-დან 10 (65%)-ში, 50 წელზე უფროსი ასაკის–29-დან 21 (72%) შემთხვევაში. (ნახაზი №4)



ნახაზი №4 მკურნალობის I წელს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ გამოვლენილი ცვლილებების პროცენტული ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

50 წელზე ნაკლები ასაკის 44 ავადმყოფიდან მკურნალობის პირველ წელს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ცვლილებები განუვითარდა 24 (55%)–ს. 50 წელზე უფროსი ასაკის 29 ავადმყოფიდან–21 (72%)-ს (P<0,001).

რაც შეეხება სქესს, დაავადებული 39 ქალიდან გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ცვლილებები აღენიშნა 25-ს (64%), 33 მამაკაციდან–20 (61%). (ნახაზი №5)



ნახაზი №5 გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ განვითარებული ცვლილებების რაოდენობრივი მონაცემები ქალებში და მამკაცებში (P>0,05).

32 პაციენტიდან, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ცვლილებები აღენიშნებოდათ ქიმიოთერაპიის დაწყებამდე, მკურნალობის პირველ წელს გარდაიცვალა 10 (31%), მათგან 8 პაციენტი იყო 50 წელზე უფროსი ასაკის, 2 კი 40–50 წლამდე ასაკის. გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა 6 (19%) პაციენტი. ექვსივე მიეკუთვნებოდა უფროს ასაკობრივ ჯგუფს (50 წელზე მეტი) და მკურნალობის დაწყებამდე აღენიშნებოდათ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ: გ.ი.დ., სტენოკარდია, პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, არტერიული ჰიპერტენზია, მოციმციმე არითმია, გ.უ. III-IV ფ.კ. (NYHA), ასევე შაქრიანი დიაბეტი. მკურნალობის პირველ წელს მდგომარეობა გაუარესდა, რაც გახდა სიკვდილის მიზეზი. 4 (13%) პაციენტი გარდაიცვალა სიმსივნური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობით.

72 პაციენტიდან, რომლებშიც ქიმიოთერაპიის დაწყებამდე გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ცვლილებები არ გამოვლენილა, მკურნალობის პირველ წელს

გარდაიცვალა 7 (8%), მათგან 4 პაციენტი იყო 50 წელზე უფროსი ასაკის, 3 კი–40–50 წლამდე ასაკის. გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა 2 (3%) პაციენტი. ორივე მიეკუთვნებოდა უფროს ასაკობრივ ჯგუფს (50 წელზე მეტი). 6 (8%) პაციენტი გარდაიცვალა სიმსივნური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობით. (ცხრილი №3)

პაციენტების რაოდენობა n=104	ლეტალობა გულით	%	ლეტალობა სხვა მიზეზით	%	P
პაციენტები ანამნეზში კარდიოლოგიური პათოლოგიებით n=32	6	19%	4	13%	0,01
პაციენტები ანამნეზში კარდიოლოგიური პათოლოგიების გარეშე n=72	2	3%	6	8%	

ცხრილი №3 ლეტალობის მაჩვენებლები მკურნალობის პირველ წელს

მიღებული შედეგების ანალიზით განისაზღვრა კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ-ფაქტორები:

- ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზები >200მგ/მ^2-ზე;
- ანამნეზში ჩატარებული პოლიქიმიო- და სხივური თერაპია;
- 50 წელზე მეტი ასაკი;
- ანამნეზში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა არსებობა.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო აქტიურად გამოიყენება მიოკარდიუმის დაზიანების მარკერების ტროპონინი I (Tn I)–ს და ტროპონინი T (Tn T)–ს განსაზღვრის მეთოდი. გამომდინარე იქედან, რომ ქიმიოთერაპიის ერთ–ერთი სერიოზული გართულება სწორედ მიოკარდიუმის დაზიანებაა, აღნიშნული მეთოდის გამოყენება ონკო–ჰემატოლოგიურ პრაქტიკაშიც აქტუალური უნდა იყოს კარდიოტოქსიურობის გამოვლენის თვალსაზრისით.

ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, თუ როგორ იცვლებოდა ტროპონინი I (Tn I)–ს შემცველობა სისხლში ქიმიოთერაპიის პროცესში და რა დამოკიდებულებაში იყო იგი ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამურ დოზებთან.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ჰემობლასტოზებით დაავადებული 20-დან 65 წლამდე ასაკის 40 ავადმყოფი. გამოკვლევაში არ შევიდნენ ის პაციენტები, რომელთაც ქიმიოთერაპიის დაწყებამდე აღენიშნათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა პათოლოგია, თირკმლისა და ღვიძლის ფუნქციის დარღვევა, ტროპონინი I (Tn I)-ს მაჩვენებლის მომატება, კარდიოექოსკოპიით–მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია (EF)<50%–ზე. სისხლში ტროპონინი I (Tn I)-ს დონის განსაზღვრა ხდებოდა ქიმიოთერაპიის კურსის ბოლოს და შემდეგი კურსის წინ. მისი მაჩვენებელი ითვლებოდა ნორმად 0–0,08 ნგ/მლ–მდე. დაკვირვების ქვეშ მყოფი 40 პაციენტი ტროპონინი I (Tn I)-ს მაჩვენებლის ცვლილების მიხედვით დაიყო სამ ჯგუფად:

I ჯგუფი (Tn I –/–) შეადგინა იმ პაციენტებმა, რომლებსაც ქიმიოთერაპიის კურსის ბოლოს და შემდეგი კურსის დაწყების წინ აღენიშნათ ტროპონინი I-ს მაჩვენებელი <0,08 ნგ/მლ–ზე. ასეთი იყო 26 (65%) ავადმყოფი.

II ჯგუფი (Tn I +/–) შეადგინა იმ პაციენტებმა, რომლებსაც ქიმიოთერაპიის კურსის ბოლოს აღენიშნათ ტროპონინი I-ს მაჩვენებელი /0,08 ნგ/მლ–ზე. შემდეგი

კურსის დაწყების წინ კი–<0,08 ნგ/მლ–ზე, ანუ დაუბრუნდა ნორმალურ მაჩვენებელს. ასეთი იყო 10 (25%) პაციენტი.

III ჯგუფი (Tn I +/+) შეადგინა იმ პაციენტებმა, რომლებსაც ქიმიოთერაპიის კურსის ბოლოს და შემდეგი კურსის დაწყების წინ აღენიშნათ ტროპონინი I-ს მაჩვენებელი /0,08 ნგ/მლ–ზე. ასეთი იყო 4 (10%) ავადმყოფი.

საერთო ჯამში, 40 პაციენტიდან ტროპონინი I (Tn I)-ს მაჩვენებელის მომატება აღენიშნა 14 (35%)–ს.

სამივე ჯგუფში გამოვლენილი ელექტროფიზიოლოგიური ცვლილებების რაოდენობრივი ანალიზით ნანახი იქნა შემდეგი: იმ 26 პაციენტიდან, რომლებსაც ქიმიოთერაპიის კურსის ბოლოს და შემდეგი კურსის დაწყების წინ აღენიშნათ ტროპონინი I-ს მაჩვენებელი <0,08 ნგ/მლ–ზე, ეკგ ცვლილებები გამოვლინდა მხოლოდ 7 (26%) შემთხვევაში. 14 პაციენტს კი, რომლებსაც აღენიშნათ ტროპონინი I-ს მაჩვენებელი /0,08 ნგ/მლ–ზე, ეკგ ცვლილებები გამოვლინდა 8 (57%) შემთხვევაში. (P<0,01). (ცხრილი №4)

პაციენტების ასაკი	ეკგ ცვლილებები ჯგუფებში ტროპონინი I მაჩვენებლის მიხედვით		
	I ჯგუფი ტროპონინი I –/– **n=7**	II ჯგუფი ტროპონინი I +/– **n=4**	III ჯგუფი ტროპონინი I +/+ **n=4**
<30	1	–	–
30–40	2	1	–
40–50	1	1	2
>50	3	2	2

ცხრილი №4 სამივე ჯგუფში გამოვლენილი ელექტროფიზიოლოგიური ცვლილებების რაოდენობრივი მაჩვენებლები ასაკის მიხედვით

ექოსკარდიოგრაფიული (ექოკგ) გამოკვლევით სამივე ჯგუფის პაციენტებში აღინიშნა მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის (EF%) 2-10%–ით შემცირება საწყისი მაჩვენებლიდან. 26 პაციენტიდან, რომლებსაც ქიმიოთერაპიის კურსის ბოლოს და შემდეგი კურსის დაწყების წინ აღენიშნათ ტროპონინი I-ს მაჩვენებელი <0,08 ნგ/მლ–ზე, მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის (EF%) დაქვეითება საწყისი მაჩვენებლიდან გამოვლინდა 8 (31%) შემთხვევაში. 14 პაციენტს კი, რომლებსაც აღენიშნათ ტროპონინი I-ს მაჩვენებელი /0,08 ნგ/მლ–ზე, ანალოგიური ცვლილებები გამოუვლინდა 9(64%) შემთხვევაში. (P<0,01). (ცხრილი №5)

პაციენტების ასაკი	ექოკგ ცვლილებები ჯგუფებში ტროპონინი I მაჩვენებლის მიხედვით		
	I ჯგუფი ტროპონინი I –/– **n=8**	II ჯგუფი ტროპონინი I +/– **n=6**	III ჯგუფი ტროპონინი I +/+ **n=3**
<30	1	1	–
30–40	2	1	–
40–50	2	2	1
>50	3	2	2

ცხრილი №5 სამივე ჯგუფში გამოვლენილი ექოსკოპიური ცვლილებების რაოდენობრივი მაჩვენებლები ასაკის მიხედვით

ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზებისა და ტროპონინი I(Tn I)-ს მაჩვენებლის ცვლილებას შორის ურთიერთკავშირის შესასწავლად დაკვირვების ქვეშ მყოფი 40 პაციენტი მიღებული ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზების მიხედვით დაიყო ოთხ ჯგუფად. 14 პაციენტისთვის ჯამურმა დოზამ შეადგინა ≤200 მგ/მ^2 (I ჯგუფი), 16 პაციენტისთვის–>200≤300 მგ/მ^2 (II ჯგუფი), 8 პაციენტისთვის–>300≤400 მგ/მ^2 (III ჯგუფი) და 2 შემთხვევაში– >400 მგ/მ^2 (IV ჯგუფი). (ცხრილი №6)

პაციენტების რაოდენობა n=40	ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზები (მგ/მ2)	ჯგუფები ტროპონინი I მაჩვენებლის ცვლილებების მიხედვით		
		I ჯგუფი ტროპონინი I –/– n=26	II ჯგუფი ტროპონინი I +/– n=10	III ჯგუფი ტროპონინი I +/+ n=4
14 (I ჯგუფი)	≤200	14	–	–
16 (II ჯგუფი)	>200≤300	11	5	–
8 (III ჯგუფი)	>300≤400	1	5	2
2 (IV ჯგუფი)	>400	–	–	2

ცხრილი №6 პაციენტების დაყოფა ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზებისა და ტროპონინი I (Tn I)-ს მაჩვენებლის მიხედვით

14 პაციენტს ქიმიოთერაპიის კურსის ბოლოს აღენიშნა ტროპონინი I-ს მაჩვენებელი /0,08 ნგ/მლ–ზე. მათთვის ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამურმა დოზამ შეადგინა ∃200 მგ/მ^2. მათგან 10 პაციენტს, რომელთათვის ჯამური დოზა იყო >200≤400 მგ/მ^2, შემდეგი კურსის დაწყების წინ აღენიშნათ ტროპონინი I-ს მაჩვენებელის ნორმალიზება (Tn I +/–), ხოლო 4 შემთხვევაში ტროპონინი I დარჩა /0,08 ნგ/მლ–ზე (Tn I +/+). მათთვის ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამურმა დოზამ შეადგინა ∃300 მგ/მ^2.

ტროპონინი I-ს მაჩვენებელი სარწმუნოდ იმატებდა ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზების მატებასთან ერთად და თუ ≤300 მგ/მ^2 ჯამურ დოზაზე გამოვლინდა 5 (17%) შემთხვევაში, >300 მგ/მ^2 ჯამურ დოზაზე აღენიშნა 10–დან 9 (90%) პაციენტს. (ნახაზი №6)



ნახაზი №6 ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზების მიხედვით ტროპონინი I-ს მაჩვენებლის პროცენტული მომატება (P<0,001)

ჩვენს გამოკვლევაში ქიმიოთერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით ავადმყოფების ნაწილს ჰემობლასტოზების ძირითად მკურნალობასთან ერთად ჩაუტარდათ კარდიოპროტექტორული თერაპია პრეპარატებით: ტრიმეტაზიდინი (პრედუქტალი), ვიტამინი E (ტოკოფეროლი), კოენზიმი Q10. პრეპარატ ტრიმეტაზიდინის დღიური დოზა შეადგენდა 60–70მგ-ს, ვიტამინი E –200მგ, კოენზიმი Q10-50მგ.

დაკვირვების ქვეშ მყოფი 145 პაციენტი განაწილდა ორ ჯგუფში. A ჯგუფი შეადგინეს იმ პაციენტებმა, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ არავითარი პათოლოგია არ გამოუვლინდათ. სულ 98 (68%) ავ–ფი. B ჯგუფის პაციენტებს კი ჰემობლასტოზების მკურნალობის დაწყებამდე გულის ელექტროფიზიოლოგიური და ექოსკოპიური გამოკვლევით აღენიშნათ ცვლილებები. ასეთი იყო 47 (32%) პაციენტი.

A ჯგუფის 48 (49%) და B ჯგუფის 21 (45%) პაციენტს პოლიქიმიოთერაპიასთან ერთად უტარდებოდა პროფილაქტიკური მკურნალობა კარდიოპროტექტორული საშუალებებით, A ჯგუფის 50 (51%) და B ჯგუფის 26 (55%) ავადმყოფს კი პოლიქიმიოთერაპია ზემოთ აღნიშნული პროფილაქტიკის გარეშე.

ელექტროკარდიოგრაფიული (ეკგ) და ექოკარდიოსკოპიური (ექოკგ) გამოკვლევებით მიღებული შედეგები განხილული იქნა ქვეჯგუფების მიხედვით.

A ჯგუფის პაციენტები თავის მხრივ დაიყო ორ ქვეჯგუფად: I ქვეჯგუფი შეადგინეს იმ პაციენტებმა, რომელთაც პოლიქიმიოთერაპიასთან ერთად უტარდებოდათ პროფილაქტიკური მკურნალობა კარდიოპროტექტორული საშუალებებით. II ქვეჯგუფი (საკონტროლო) კი იმ ავადმყოფებმა, ვისაც ჩაუტარდა პოლიქიმიოთერაპია ზემოთ აღნიშნული პროფილაქტიკის გარეშე. (ცხრილი №7)

ორივე ქვეჯგუფის პაციენტებში ეკგ ცვლილებების პროცენტული მონაცემების ანალიზით მიღებული იქნა შემდეგი: I ქვეჯგუფის პაციენტების (პოლიქიმიოთერაპია+კარდიოპროტექტორები) 42%–ს აღენიშნებოდა ეკგ ცვლილებები მკურნალობის პირველ წელს, მკურნალობის დამთავრების შემდეგ კი გამოვლინდა ავადმყოფთა 29%-ში.

პაციენტების რაოდენობა **n=145**	პოლიქიმიოთერაპია + კარდიოპროტექტორები I ქვეჯგუფი	%	პოლიქიმიოთერაპია II ქვეჯგუფი	%
A ჯგუფი n=98	48	49%	50	51%
B ჯგუფი n=47	21	45%	26	55%

ცხრილი №7 პაციენტების განაწილება ჩატარებული მკურნალობის მიხედვით

II ქვეჯგუფში (პოლიქიმიოთერაპია) პაციენტების 62%–ს გამოუვლინდა ეკგ ცვლილებები მკურნალობის პირველ წელს, ხოლო მკურნალობის დასრულების შემდეგ–40%–ს, ეკგ ცვლილებები მკურნალობის 1 წელს და შემდეგაც სარწმუნოდ მაღალი იყო II ქვეჯგუფის პაციენტებში. (ნახაზი №7)



ნახაზი №7 I და II ქვეჯგუფის პაციენტების ეკგ ცვლილებების პროცენტული მაჩვენებლები მკურნალობის პირველ წელს და მკურნალობის შემდეგ (P<0,001 P<0,001)

ორივე ქვეჯგუფის პაციენტებში ექოკგ ცვლილებების პროცენტული მონაცემების ანალიზით მიღებული იქნა შემდეგი: I ქვეჯგუფის (პოლიქიმიოთერაპია+ კარდიოპროტექტორები) პაციენტების 45%–ს აღენიშნებოდა ექოკგ ცვლილებები მკურნალობის პირველ წელს, მკურნალობის დამთავრების შემდეგ კი გამოვლინდა ავადმყოფთა 31%-ში.

II ქვეჯგუფში (პოლიქიმიოთერაპია) პაციენტების 64%–ს გამოუვლინდა ექოკგ ცვლილებები მკურნალობის პირველ წელს, ხოლო მკურნალობის დასრულების შემდეგ–48%–ს. ექოკგ ცვლილებები მკურნალობის 1 წელს და შემდეგაც სარწმუნოდ მაღალი იყო II ქვეჯგუფის პაციენტებში, ისევე, როგორც ეს აღინიშნა ეკგ ცვლილებების შემთხვევაში. (ნახაზი №8)



ნახაზი №8 I და II ქვეჯგუფის პაციენტების ექოკგ ცვლილებების პროცენტული მაჩვენებლები მკურნალობის პირველ წელს და მკურნალობის შემდეგ (P<0,001 P<0,001)

ჩვენ ასევე შევეცადეთ მიღებული შედეგების ერთმანეთთან შედარებით გამოგვევლინა, მოცემული სამი პრეპარატიდან რომელი იყო კარდიოტოქსიურობისაგან დამცავი უფრო ეფექტური საშუალება.

პაციენტებს, რომლებიც იღებდნენ ტრიმეტაზიდინს, ეკგ ცვლილებები ჰემობლასტოზების მკურნალობის 1 წელს გამოუვლინდათ 5 (16%) შემთხვევაში, ექოკგ ცვლილებები–5 (16%)-ში, ქიმიოთერაპიის შემდეგ კი ეკგ ცვლილებები აღენიშნათ 4 (13%) შემთხვევაში, ექოკგ– 4 (13%)-ში.

პაციენტებს, რომლებიც იღებდნენ ვიტამინ E-ს, ეკგ ცვლილებები მკურნალობის I წელს გამოუვლინდათ 6 (30%) შემთხვევაში, ექოკგ–7 (35%)–ში, ვმკურნალობის შემდეგ ეკგ ცვლილებები ნანახი იქნა 4 (20%) შემთხვევაში, ექოკგ–5 (25%)–ში.

პაციენტებს, რომლებიც ქიმიოთერაპიასთან ერთად იღებდნენ კოენზიმი Q10–ს, ეკგ ცვლილებები ჰემობლასტოზების მკურნალობის I წელს გამოუვლინდათ 9 (52%) შემთხვევაში, ექოკგ–10 (58%)–ში. ქიმიოთერაპიის შემდეგ კი ეკგ ცვლილებები ნანახი იქნა 6 (36%) შემთხვევაში, ექოკგ–6 (36%)–ში. (ცხრილი №8, 9)

მოცემული პრეპარატების მოქმედების ეფექტურობის შესწავლისას აღინიშნა ტრიმეტაზიდინის უპირატესობა კოენზიმ Q10-თან და ვიტამინი E-სთან შედარებით.

ცხრილი №8

პაციენტების რაოდენობა ეკგ ცვლილებებით	ტრიმეტაზიდინი	ვიტამინი **E**	კოენზიმი **Q10**
მკურნალობის I წელს n=20 (42%)	5 (16%)	6 (30%)	9 (52%)
მკურნალობის შემდეგ n=14 (29%)	4 (13%)	4 (20%)	6 (36%)

ცხრილი №9

პაციენტების რაოდენობა ექოკგ ცვლილებებით	ტრიმეტაზიდინი	ვიტამინი **E**	კოენზიმი **Q10**
მკურნალობის I წელს n=22 (46%)	5 (16%)	7 (35%)	10 (58%)
მკურნალობის შემდეგ n=15 (31%)	4 (13%)	5 (25%)	6 (36%)

ცხრილი №8, 9 პოლიქიმიოთერაპიის I წელს და შემდეგ ეკგ და ექოკგ ცვლილებები A ჯგუფის პაციენტებში ჩატარებული კარდიოპროტექტორული თერაპიის მიხედვით

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი: კლინიკურ პრაქტიკაში ჰემობლასტოზების მკურნალობის მთელი პერიოდის მანძილზე გულის ფუნქციურ მდგომარეობაზე ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული მეთოდებით დინამიკაში დაკვირვებამ შესაძლებელი გახადა პოლიქიმიოთერაპიითა და სხივური თერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობის დროული დიაგნოსტირება, ხოლო სისხლში ტროპონინი I (Tn I)-ს დონის განსაზღვრით ჰემობლასტოზების მკურნალობის პროცესში მოხერხდა მიოკარდიუმის დაზიანების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა. ეკგ და ექოკგ გამოკვლევებით მიღებული შედეგების საფუძველზე, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და ჩატარებული მკურნალობის მიხედვით, განისაზღვრა კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ–ფაქტორები. პოლიქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის მოსალოდნელი კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით კარდიოპროტექტორების (ტრიმეტეზიდინი, ვიტამინი E, კოენზიმი Q10) გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პაციენტების მდგომარეობა

გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ, შეამცირა კარდიოტოქსიურობის შემთხვევათა რიცხვი, გააუმჯობესა სიცოცხლის ხარისხი და შესაძლებელი გახადა ჰემობლასტოზების ძირითადი მკურნალობის სრულფასოვანი ჩატარება.

დასკვნები

1. ჰემობლასტოზებით დაავადებულ პაციენტებში გულის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებებს განაპირობებს სიმსივნური პროცესებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ფაქტორები: ა) ჰიპერპლაზირებული ლიმფური კვანძების მდებარეობა შუასაყარში; ბ) ჰიპერპლაზირებული ლიმფური კვანძებით მსხვილი სისხლძარღვების (აორტა, ფილტვის არტერია, ზემო ღრუ ვენა) კომპრესია (მედიასტინო–კარდიალური სინდრომი); გ) სიმსივნური ინტოქსიკაცია; დ) ანემია (ანემიური სინდრომი); ე) ჰიპერკოაგულაცია; ვ) ერითროციტოზი და თრომბოციტოზი (პლეთორული სინდრომი).
2. ავთვისებიანი ლიმფომებით დაავადებულ იმ პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ პოლიქიმიოთერაპიითა და სხივური თერაპიით, ცვლილებები გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ აღენიშნათ უფრო მეტ შემთხვევაში (56%), ვიდრე მათ, ვისაც მკურნალობა ჩაუტარდათ მხოლოდ პოლიქიმიოთერაპიით (38%).
3. ჰემობლასტოზების მკურნალობით განპირობებული კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ–ფაქტორებია: ა) ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზები >200 მგ/მ^2-ზე. ბ) ანამნეზში ჩატარებული პოლიქიმიო- და სხივური თერაპია. გ) 50 წელზე მეტი ასაკი. დ) ანამნეზში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა არსებობა.
4. კარდიოტოქსიურობის ადრეულ მაჩვენებელს წარმოადგენს სისხლში ტროპონინი I-ს დონის მომატება, რაც აღინიშნა ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების 200მგ/მ^2-ზე მეტი ჯამური დოზიდან.
5. ჰემობლასტოზების მკურნალობით განპირობებული კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით კარდიოპროტექტორული საშუალებების: ტრიმეტეზიდინის, ვიტამინი E-ს, კოენზიმი Q10-ის გამოყენებისას გულის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებები გამოვლინდა უფრო ნაკლებ შემთხვევაში (45%), საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (64%).
6. ტრიმეტეზიდინის, ვიტამინი E-ს, კოენზიმი Q10-ის კარდიოპროტექტორული მოქმედების ეფექტურობის შედარებით აღინიშნა შემდეგი: ტრიმეტაზიდინის გამოყენების შემთხვევაში გულის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებები გამოვლინდა პაციენტების 16%–ში, ვიტამინი E-ს გამოყენებისას–35%–ში და კოენზიმ Q10-ს გამოყენებისას–58%-ში, ანუ აღინიშნა ტრიმეტაზიდინის უპირატესობა დანარჩენ ორ პრეპარატთან შედარებით.

პრაქტიკული რეკომენდაციები

1. ჰემობლასტოზების მკურნალობის დაწყებამდე ექოსკოპიური და ელექტროკარდიოგრაფიული მეთოდებით უნდა მოხდეს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის შესწავლა და გაგრძელდეს

დინამიკაში კონტროლი მკურნალობის მთელი პერიოდის მანძილზე და მკურნალობის დამთავრების შემდეგ.

2. .ჰემობლასტოზების მკურნლობის დაწყებამდე აუცილებელია იმ პაციენტების გამოვლენა, რომელთაც აღენიშნებათ კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ-ფაქტორები (გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები ანამნეზში, ასაკი 50 წელზე მეტი, წარსულში ჩატარებული ქიმიო- და სხივური თერაპია). მათთვის ოპტიმალური პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების შემუშავებით შესაძლებელია მიღწეულ იქნას მდგომარეობის სტაბილიზაცია გულ–სისხლძარღვთა სისტემის მხრივ, რაც შესაძლებელს გახდის ჰემობლასტოზების ძირითადი მკურნალობის სრულფასოვან ჩატარებას.
3. პოლიქიმიოთერაპიით გამოწვეული კარდიოტოქსიურობის გამოვლენა შესაძლებელია სისხლში მიოკარდიუმის დაზიანების ადრეული მარკერის, ტროპონინი I-ს დონის განსაზღვრით.
4. ქიმიოთერაპიით განპირობებული კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკის მიზნით, როდესაც ანტრაციკლინური ანტიბიოტიკების ჯამური დოზები აჭარბებს 200 მგ/მ^2-ს, რეკომენდირებულია ძირითად მკურნალობასთან ერთად, პაციენტებს ჩაუტარდეთ კარდიოპროტექტორული თერაპია (ტრიმეტეზიდინი, ვიტამინი E, კოენზიმი Q10).
5. პაციენტებს, რომელთაც ქიმიოთერაპიის დაწყებამდე აღენიშნებათ კარდიოტოქსიურობის განვითარების რისკ-ფაქტორები ან ქიმიოთერაპიის ფონზე გამოუვლინდებათ გულის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებები, კარდიოლოგიური პრეპარატებით მკურნალობასთან ერთად პროფილაქტიკის მიზნით საჭიროა ჩაუტარდეთ კარდიოპროტექტორული თერაპია (ტრიმეტეზიდინი, ვიტამინი E, კოენზიმი Q10) ჰემობლასტოზების მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული შრომები:

1. თ.ჩალაძე. გულის ფუნქციური მდგომარეობის ელექტროფიზიოლოგიური და ექოსკოპიური მაჩვენებლები ავთვისებიანი ლიმფომების მკურნალობის პროცესში. „საქართველოს სამედიცინო მოამბე“ №4, 2003; გვ. 98-102;
2. თ.ჩალაძე, ი.მეგრელაძე, მ.ზოდელავა, ი.თოფურიძე, ნ.ბორჩხაძე, ნ.მალაციძე. ჰემობლასტოზების მკურნალობით გამოწვეული კარდიოტოქსიურობის პროფილაქტიკა. „საქართველოს სამედიცინო მოამბე“ №4, 2005; გვ.17-21;
3. Chaladze T. Megreladze I. Zodelava M. Early Cardiotoxicity Induced by Treatment of Hematologic Malignancies and the Risk-factors of its Manifestation. „Georgian Medical News“ № 12(129), 2005; 117-119.

ОБЩАЯ ХАРАКТЕРИСТИКА РАБОТЫ

Актуальность проблемы
